პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 5 მაისი, 1943 წ. № 99 (6724). ფასი 20 კაპ.

ვ. ი. ლენინი, ი. ბ. სტალინი და გ. გ. მოლოტოვი გაზეთ „პრავდის“ რედაქციაში (1917 წელი). ნახატი მხატვარ პ. ვასილევისა.

ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღი

5 მაისი ბოლშევიკური პრესის დღეა. სამამულო ომის გადამწყვეტ მომენტში, დღეს ლენინურ-სტალინურ „პრავდას“ შეუსრულდა სახელოვანი 31 წლისთავი.

ლენინი და სტალინი, რომლებმაც ჩვენი სახელმწიფო შეჰქმნეს, ბეჭდვითს სიტყვას ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ. ლენინმა და სტალინმა ჩაუყარეს საფუძველი ბოლშევიკურ პრესას, მათ გამოსჭედეს ჩვენი პარტიის ეს ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღი.

სახელოვანი საბრძოლო ცხოვრების გზა განვლო ბოლშევიკურმა პრესამ. 1912 წლის 5 მაისს გამოვიდა პირველი ყოველდღიური ლეგალური მუშური გაზეთი „პრავდა“ და ამ ისტორიული დღიდან მთელი მისი ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი პარტიის ცხოვრებასთან, მის გიგანტურ ბრძოლასთან მშრომელთა ინტერესების გამარჯვებისათვის. ბოლშევიკური პრესის მდიდარი ტრადიციები შეჰქმნეს ლენინურმა „ისკრამ“, კავკასიაში ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველმა რევოლუციურმა გაზეთმა—სტალინურმა „ბრძოლამ“, „ვპერიოდმა“ და „ზვეზდამ“, ხოლო „1912 წლის „პრავდა“,—როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს,— ეს საძირკვლის ჩაყრაა ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის 1917 წელს“. „პრავდა“ დაიბადა რევოლუციური მოძრაობის ახალ აღმავლობასთან ერთად, მისი გამოსვლა იყო უდიდესი მოვლენა ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

მგზნებარე, მართალი სიტყვა, მშრომელთა ინტერესების გახურებულად დაცვა და შეუპოვარი ბრძოლა მტრის წინააღმდეგ — ბოლშევიკური პრესის საუკეთესო ტრადიციაა. ამ მართალი სიტყვით მგზნებარედ იბრძვის ბოლშევიკური პრესა დიდ სამამულო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ, განუხრელად ემსახურება და შეუპოვრად იცავს მშრომელთა ინტერესებს.

წითელი არმიის გმირული ბრძოლა ვერაგი მტრის წინააღმდეგ, საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომა ფრონტის დასახმარებლად, მთელი ძალების მობილიზაცია ჰიტლერელ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა, საბჭოთა მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარება — ყოველივე ეს ფართო და მართალ გამოხატულებას პოულობს ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე. ამიტომ არის, რომ დიდია მისი ავტორიტეტი უფართოეს მასებში.

კოლოსალური ტირაჟით გამოდიან საბჭოთა გაზეთები, ჟურნალები და წიგნები. საომარ ყაიდაზე გარდაქმნილი ბოლშევიკური პრესა ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძვის მახვილი კალმით. მტრის რისხვას წარმოადგენენ არტილერიის გრიალში, ცეცხლის ხაზზე დაბადებული საარმიო გაზეთები. ჰიტლერელ დამპყრობთა ზურგში პარტიზანებთან ერთად იბრძვიან მათივე ხელით გამოშვებული ცეცხლოვანი გაზეთები და ფურცლები.

მაგრამ საბჭოთა პრესა მიღწეულზე არ ჩერდება. იგი დღითი-დღე აუმჯობესებს თავის ნაყოფიერ მუშაობას, იგი იზრდება არა დღეობით, არამედ საათობით. ბოლშევიკური პრესის მუშაკებს ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი პატრიოტული ვალი სოციალისტური სამშობლოს წინაშე. მრავალი საბჭოთა ჟურნალისტი გმირულად იბრძვის ფრონტზე. საბჭოთა ჟურნალისტების არმია ბოლომდე იხდის თავის პატრიოტულ მოვალეობას ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის წინაშე.

უმაღლესი მთავარსარდლის დიდი სტალინის ისტორიული საპირველმაისო ბრძანება მთელი ბოლშევიკური პრესის წინაშე ახალ, უაღრესად სერიოზულ ამოცანებს აყენებს. ისე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანება ბოლშევიკური პრესის საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს.

ბელადის ბრძანება, მისი ბრძნული სიტყვები საბჭოთა პრესამ ყოველმხრივ და ფართოდ უნდა გააცნოს მასებს, უჩვენოს საბჭოთა ადამიანების გმირული ბრძოლა, მათი სტახანოვური შრომა ამ დიდი საბრძოლო პროგრამის შესასრულებლად. ჩვენმა გაზეთებმა, საოლქომ და საქალაქომ, რაიონულმა და ძირეულმა პრესამ მკაფიოდ, ცოცხლად, მრავალმხრივად უნდა ასახონ, თუ როგორ სრულდება დიდი ბელადის მოწოდება იმის შესახებ, რომ აუცილებელია „...მუშები, კოლმეურნეები, მთელი საბჭოთა ინტელიგენცია გაორკეცებული ენერგიით მუშაობდნენ ფრონტისათვის“. ამ საქმეში გაზეთებს ყოველმხრივი დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ პარტიულმა ორგანიზაციებმა.

თავის საპირველმაისო ბრძანებაში ამხანაგმა სტალინმა მოგვიწოდა, რომ საჭიროა „...ზურგში ყველა ჩვენი ადამიანი და ყველა დაწესებულება შეწყობილად და ზუსტად, კარგი საათის მექანიზმივით მუშაობდეს“.

ბოლშევიკური პრესის მთელი ძალა უნდა მივმართოთ დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანების—სამშობლოს ამ საბრძოლო ბრძანების შესრულებისაკენ. ასეთია ჩვენი ამოცანა!

„ახლოვდება დრო, როცა წითელი არმია ჩვენი მოკავშირეების არმიებთან ერთად ხერხემალს გადაუმტვრევს ფაშისტ მხეცს“, — სთქვა ამხანაგმა სტალინმა თავის საპირველმაისო ბრძანებაში. ჩვენი გამარჯვებისათვის ამ გმირულ ბრძოლაში საბჭოთა პრესა—პარტიის ეს ყველაზე ბასრი და ყველაზე ძლიერი იარაღი წარმატებით ასრულებს და მომავალშიც ასევე შეასრულებს თავის ვალს. ამისათვის საჭიროა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ გაზეთების ხარისხი, კიდევ უფრო მოქნილი, მახვილი და ოპერატიული გავხადოთ ისინი!

გაუმარჯოს ბოლშევიკურ პრესას და მის სახელოვან მედროშეს—ლენინურ-სტალინურ „პრავდას“!

გაუმარჯოს უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ სტალინს, რომელსაც ძლევამოსილად მივყეველართ წინ, გამარჯვებისაკენ!

კარლ მარქსის დაბადების 125 წლისთავი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა სახლში 4 მაისს შესდგა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის მიერ მოწვეული კრება, რომელიც მიეძღვნა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლისა და თეორეტიკოსის კ. მარქსის დაბადების 125 წლისთავს. კრება გახსნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს უფროსმა ამხ. გ. ფ. ალექსანდროვმა.

მოხსენება კ. მარქსის შესახებ გააკეთა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა მ. ბ. მიტინმა.

— დღეს ამ თარიღს ჩვენ აღვნიშნავთ გრანდიოზული მსოფლიო ომის პირობებში, გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხისა და მთელი მოწინავე კაცობრიობის წმიდა განმათავისუფლებელი ომის პირობებში,—სთქვა აკადემიკოსმა მიტინმა.— გერმანია—მეცნიერული სოციალიზმის დიდი ფუძემდებლების მარქსისა და ენგელსის სამშობლო — ჰიტლერელების ხელისუფლების ქვეშ მონობისა და ბნელეთის მოციქულობის ქვეყნად გადაიქცა. მარქსისა და ენგელსის მოძღვრება მოგვიწოდებს ვებრძოლოთ კანიბალიზმს, საშუალო საუკუნეებრიობას, რომლის მსოფლიოსათვის თავზე მოხვევას ცდილობს ფაშისტური გერმანია.

ამხ. მიტინმა ხაზგასმით აღნიშნა მარქსის უდიდესი ისტორიული გავლენა რევოლუციური მოძრაობის განვითარებაზე რუსეთში. მარქსისა და ენგელსის მიერ შექმნილი მეცნიერება საზოგადოების შესახებ, მათი მოძღვრების დიდ განმგრძობთა—ლენინისა და სტალინის მიერ განვითარებული და შევსებული,—საიმედო კომპასია საბჭოთა კავშირის ხალხების ხელში, რომლებიც თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

ამხ. მიტინმა კრებას გააცნო მთელი რიგი ახალი დოკუმენტები მარქსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომლებიც წინათ გამოქვეყნებული არა ყოფილა და რომლებიც მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის არქივებში ინახება.

აკადემიკოსმა ემ. იაროსლავსკიმ მოხსენებაში „მარქსი რუსეთის შესახებ“ ილაპარაკა იმ გულდასმითს ყურადღებაზე, რომლითაც მარქსი და ენგელსი თვალყურს ადევნებდნენ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის განვითარებას. მარქსის მიმოწერა რუსეთის რევოლუციურ მოღვაწეებთან, მისი წერილები ჟურნალ „ოტეჩესტვენნე ზაპისკიში“ მოწმობენ მარქსის მიერ რუსეთის ისტორიის, ეკონომიკისა და კულტურის ღრმად ცოდნას.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ სტალინისადმი. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

4 მაისის დილის ცნობა

3 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ნ ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს გერმანელთა ქვეითი ჯარის იერიში და გაჟლიტეს 100-მდე ჰიტლერელი. ჩვენი მფრინავები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის აეროდრომს. დაბომბვის შედეგად დამტვრეულია გერმანელთა 4 თვითმფრინავი და დაშვებულია 8 თვითმფრინავი. აეროდრომზე მომხდარ საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი.

* * *

კალინინის ფრონტზე მზვერავებმა უფროს ლეიტენანტ სოკოლოვის მეთაურობით იერიში მიიტანეს გერმანელთა პოზიციებზე. ხელჩართულ შეტაკებაში ჩვენმა მებრძოლებმა დახოცეს 30 ჰიტლერელი, ხელთ იგდეს დაზგის ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი, 20 შაშხანა და თავიანთ ქვეგანაყოფში დაბრუნდნენ. სხვა უბანზე გერმანელთა 7 ბომბდამშენი ცდილობდა დაებომბა ნ ნაწილის საბრძოლო წყობანი. საზენიტო ტყვიამფრქვევების ოცეულმა, რომლის მეთაურიც არის . ლეიტენანტი მოხარტი, გერმანელთა ერთი თვითმფრინავი ჩამოაგდო. მოწინააღმდეგის მეორე ბომბდამშენი ჩამოგდებულ იქნა ამხ. რიჩევის მეთაურობით მოქმედი ბატარეის მეზენიტეების მიერ.

6 შენაერთის სნაიპერებმა ორი დღის განმავლობაში გაჟლიტეს 164 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

სევსკის რაიონში ნ ნაწილის მზვერავთა ჯგუფი წყლის ზღუდეზე გადავიდა და უეცრად მიიტანა იერიში მოწინააღმდეგეზე. ჩვენმა მზვერავებმა გაჟლიტეს მტრის ხუთი ძელმიწური საცეცხლე წერტილი გარნიზონები, ხელთ იგდეს ტყვეები და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენმა არტილერისტებმა დაანგრიეს გერმანელთა 10 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, მოსპეს 3 სანაღმტყორცნო ბატარეა და ჩაქიერეს 2 ნავი შიგმყოფ გერმანელ ჯარისკაცებთან ერთად.

* * *

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი 23 აპრილს თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს და გაჟლიტა 40-ზე მეტი ჰიტლერელი. სხვა რაზმის პარტიზანებმა 19-დან 23 აპრილამდე ლიანდაგიდან გადაგდეს მტრის 2 ეშელონი, დამტვრეულია 2 ორთქლმავალი, 20 ვაგონი საომარ მასალიანად და 16 ვაგონი სხვადასხვა ტვირთიანად.

* * *

უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებამ უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში. სამამულო ომის ყველა ფრონტზე მებრძოლნი, მეთაურნი და პოლიტმუშაკნი მხურვალედ მიესალმებიან უმაღლეს მთავარსარდალს და აცხადებენ: „ჩვენ გაბედულად და იმედიანად ვეგებებით გადამწყვეტ ბრძოლებს. წითელი არმია პირნათლად შეასრულებს ამხანაგ სტალინის ბრძანებას“.

გვარდიის ნ ნაწილის ტანკისტთა მიტინგზე გამოვიდა მექანიკოს-მძღოლი, გვარდიის ზემდეგი ამხ. უშაკი. მან სთქვა: „ამხანაგმა სტალინმა გვიბრძანა ვაუმჯობესოთ საბრძოლო წრთვნა. ჩვენ, ტანკისტები, გვარდიელები, დაუცხრომლად ვამაღლებთ ჩვენს ოსტატობას და მტერთან მომავალ ბრძოლებში კიდევ უფრო ვავადიებით იმ საბრძოლო საზელს, რომელიც წითელმა არმიამ სტალინგრადთან მოიპოვა. „უფროსმა ლეიტენანტმა ტელეგრამა, რომელიც გამოვიდა ნ ნაწილის მიტინგზე, განაცხადა: „სტალინის ბრძანებამ კიდევ უფრო განგვიმტკიცა გამარჯვების რწმენა. საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები ჯულმშვიდად და იმედიანად შესცქერიან მომავალს. გაერთიანებული ლენინისძეებით, მოკავშირეთა არმიებთან ერთად, წითელი არმია მოსპობს ფაშისტურ ქვეწარმავალს“. დიდი აუორადღებით მოისმინეს ნ ნაწილის მებრძოლებმა ზემდეგ ამხ. დოცენკოს ამაღელვებელი სიტყვა: „წყეულმა გერმანელებმა გაანადგურეს ჩემი სახლი, გაძარცვეს ჩემი მეურნეობა, მხეცურად აწამეს ბევრი ჩემი თანასოფლელი. ამხანაგი სტალინი ეუბნწავლის ულმობლად ვიძიოთ შური ფაშისტ არამზადიებზე ჩვენი ადამიანების სისხლისა და ცრემლებისათვის. ფიცსა ვდებ, რომ არ დავზოგავ ძალ-ღონეს საყვარელი სახალხო კომისრის ბრძანების შესასრულებლად“. მხურვალე სიტყვა წარმოთქვა ყაზახმა ფეოდოსიელმა შულაბეკოვმა: „მე ასე მესმის უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანება,—სთქვა მან: —თუ ყოველი მებრძოლი მეტ გერმანელს მოჰკლავს, ჩვენ ფაშისტ მალე მივაღწევთ გამარჯვებას. ვეფიცები ჩემს ხალხსა და ამხანაგ სტალინს, რომ ხელი არ ამიკანკალდება. ულმობლად და დაუღალავად ვურტყამ ფაშისტ არამზადებს“. ნ ნაწილის მფრინავთა მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა ორგზის ორდენოსანმა მფრინავმა, გვარდიის უმცროსმა ლეიტენანტმა ამხ. უგლიანსკიმ. მან განაცხადა: „ამხანაგ სტალინის ბრძანება ჩვენ გამარჯვების გზას გვიჩვენებს. ენერგიისა და ძალ-ღონის ახალ მოზღვავებას ვგრძნობ. მოწყალ ბრძოლებში კიდევ უფრო ძლიერად ვურტყამ მტერს. მოგეზმდ მფრინავებს—მთელი ძალ-ღონე და მთელი უნარი იხმარონ, რათა პირნათლად შეასრულონ სტალინის ბრძანება“.

4 მაისის საღამოს ცნობა

ყუბანში ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში სერიოზული ბრძოლები სწარმოებს. ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა ავიაციამ ბარენცის ზღვაში ჭტრის ორი ტრანსპორტი ჩასძირა.

* * *

3 მაისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა 50-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ააფეთქეს საომარ მასალათა 8 საწყობი და საწყობი საწვავიანად, ჩაახშეს მტრის 9 საარტილერიო და სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს 2 ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ყუბანში ნ შენაერთის ნაწილები ეწეოდნენ გაფფრთხილებულ ბრძოლებს, რაც ცალკეულ უბნებზე ხელჩართულ შეტაკებებად იქცეოდა. მტერს მძიმე ზარალი მივაყენეთ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ჩვენი თვითმფრინავები იცავდნენ სახმელეთო ჯარების საბრძოლო წყობილებას, ბომბავდნენ და იერიში მიჰქონდათ მტრის პოზიციებზე. მფრინავმა ლეიტენანტმა ამხ. კუცენკომ დღის განმავლობაში გერმანელთა სამი ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდო, უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. ლოგვინენკომ მტრის ორი ბომბდამშენი მოსპო. მფრინავი გამანადგურებელი ამხ. მაწუკიანი, რომელიც ჩვენს ბომბდამშენებს ახლდა, გერმანელთა ავიაგამანადგურებლების ჯგუფს შეხვდა, მათ ბრძოლა მოახვია თავს და 2 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

* * *

ჩუგუევის ჩრდილოეთით ჩვენმა მოწინავე ქვეგანაყოფებმა მოსპეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი, დაანგრიეს 3 ბლინდაჟი, ჩაახშეს მტრის სანაღმტყორცნო ჯგუფისა და 2 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. საზენიტო არტილერიისა და ქვეითი ჯარის იარაღის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 2 ბომბდამშენი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით კანტიკენტი სროლა იყო ორივე მხრივ. გვარდიის ნ ნაწილის ნაღმტყორცნელებმა მოსპეს გერმანელთა 17 ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად, ააფეთქეს საომარ მასალათა 2 საწყობი და გასწყვიტეს 100-ზე მეტი ჰიტლერელი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა 2 დღის განმავლობაში მოსპეს მტრის 2 ასეულამდე ქვეითი ჯარი, დაანგრიეს გერმანელთა 13 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, 14 მიწური, მოსპეს ქვემეხი, 2 ნაღმსატყორცნი და ააფეთქეს საწყობი საომარ მასალიანად. ლენინგრადის მისადგომებზე გამართულ სამკერმო ბრძოლებში 6 ავიანაწილის მფრინავებმა გერმანელთა 5 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

კიეველ პარტიზანთა რაზმის დაზვერვამ გამოარკვია, რომ ერთ სადგურზე ელოდებიან მატარებლის მოსვლას საბჭოთა მოქალაქეებიანად, რომლებიც გერმანელებს ძალით მიჰყავთ გერმანიის კატორღაში. როდესაც ეშელონი გაჩერდა, პარტიზანები უეცრად შეიჭრნენ სადგურში, დახოცეს საპოლიციო დაცვა და 500 საბჭოთა მოქალაქე გაათავისუფლეს. პარტიზანთა სხვა რაზმის ამფეთქებლებმა რკინიგზის ლიანდაგი დანაღმეს. ნაღმებზე აფეთქდა და მაღალ მიწაყრილიდან გადავარდა გერმანელთა ჯარის ეშელონი. სავსებით დამტვრეულია 13 ვაგონი და 15 პლატფორმა.

* * *

ყუბანში წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანელთა 73-ე ქვეითი დივიზიის 170-ე გრენადერთა პოლკის ობერ-ეფრეიტორი ანტონ პ. გადმოსულმა განაცხადა: „უკანასკნელ ბრძოლებში გერმანელთა ნაწილებს ეძლევა ზარალი მოუვიდათ. მაგალითად, 73-ე ქვეითი დივიზიის საჯარიმო ბატალიონი თითქმის სრულიად ბატალიონმა სამი დღის განმავლობაში მარტო მოკლულთა სახით 400-მდე კაცი დაჰკარგა. გერმანელთა ჯარების ყოველი ცდა უკუეგდოთ რუსები მარცხით დამთავრდა. გერმანელთა ჯარებს დიდი ზარალი მიაყენა საბჭოთა ავიაციის მასირებულმა დარტყმებმა. მეც და სხვა ჯარისკაცებსაც ჯერ არასოდეს არ გვინახავს ესოდენ დიდძალი საბჭოთა თვითმფრინავები. ჩემს თვალწინ პირველი ბატალიონის შტაბში ბომბის პირდაპირი მოხვედრით მოკლულ იქნა 8 ოფიცერი, მათს რიცხვში ბატალიონის მეთაურიც. ერთი ბომბი მოხვდა ჯგუფის სალომანდო პუნქტს. ამასთან მოკლულ და დაჭრილ იქნა 12 ოფიცერი“.

* * *

გერმანელი ფაშისტი არამზადები სპობენ საბჭოთა სოფლებისა და ქალაქების მშვიდობიან მოსახლეობას. ბოლქოვის ოლქის დაბა სკოროდნში გერმანელებმა კოლმეურნეთა 400-ზე მეტი სახლი დასწვეს. ცეცხლში დაიღუპა ბევრი ქალი, მოხუცი და ბავშვი. ეტომირის ოლქის სოფელ რუდნიაში გერმანელებმა მშვიდობიანი მცხოვრებლები ეკლესიაში შერეკეს და ჩაკეტეს. ღამით ჰიტლერელმა ავაზაკებმა ეკლესიას ცეცხლი წაუკიდეს და ცოცხლად დაწვეს შიგ მყოფი სრულიად უდანაშაულო საბჭოთა ადამიანები.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები გომელის, მინსკის, ორშისა და ბრიანსკის სარკინიგზო კვანძებზე

1, 2 და 3 მაისს, ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ მასირებული თავდასხმები მოახდინა გომელის, მინსკის, ორშისა და ბრიანსკის სარკინიგზო კვანძებზე და საომარი მასალის საწყობებზე ამ ქალაქებში. თავდასხმების მომენტისათვის ეს სარკინიგზო კვანძები გაჭედილი იყო გერმანელთა ეშელონებით ჯარებიანად, საომარ მასალიანად, ტანკებიანად, ავტომანქანებიანად და საწვავით დატვირთული შემადგენლობებით. ბომბარდირების შედეგად ბევრგან აღინიშნებოდა ღიები ხანძარი და აფეთქება სარკინიგზო შემადგენლობებში და საწყობებისა საომარ მასალიანად და საწვავიანად.

საჰაერო ბრძოლები კრასნოდარის დასავლეთით

4 მაისს კრასნოდარის დასავლეთით ჩვენმა საჰაერო ძალებმა დიდი დამარცხება აგიმეს ვერმანიის ავიაციას. ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 55 თვითმფრინავი. ჩვენ 11 თვითმფრინავი დავკარგეთ.

პრესა სამამულო ომის დღეებში

ვ. ი. ლენინის სახელობის სსრ კავშირის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში იმსჯნება გამოფენა თემაზე „პრესა სამამულო ომის დღეებში“. გამოფენაზე ეექსპონირებულია 500-მდე წიგნი, ბროშურა, ჟურნალი და გაზეთი, რომლებიც ომის პერიოდში გამოვიდა სსრ კავშირის ხალხთა სხვადასხვა ენაზე. გამოფენის შესავალ განყოფილებაში გამოფენილია ლენინისა და სტალინის მიერ გამოთქმული აზრები პრესის როლის შესახებ და რუსული პრესის ისტორიის მასალები.

საკავშირო წიგნის პალატის ცნობებით, ომის წელიწადახევრის განმავლობაში გამოშვებულია 30.000-ზე მეტი წიგნი და ბროშურა. მათი საერთო ტირაჟი 605 მილიონ ცალს შეადგენს. ამ რაოდენობიდან ცხრანახევარი ათასი წიგნი გამოცემულია სამხედრო საქმისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. 6.000-ზე მეტი წიგნი მიძღვნილია მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისადმი. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პოლიტიკურ ლიტერატურას. სამამულო ომის პერიოდში ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი დაახლოებით 60 მილიონი ცალის რაოდენობით გამოვიდა.

გამოფენის ცალკე განყოფილება მნახველებს აცნობს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ბრძოლის შესახებ მხატვრულ ლიტერატურას. ა. ტოლსტოის იმ ნაწარმოებთა საერთო ტირაჟი, რომლებიც ომის დროს გამოვიდა, დაახლოებით 5 მილიონ ცალს შეადგენს. 12 ეროვნულ ენაზე გამოიცა ი. ერენბურგის 45 წიგნი, ს. ლიდოვის პატარა წიგნი „ტანია“ გმირი პარტიზანი ქალის ზოია კოსმოდემიანსკაიას შესახებ მილიონნახევარზე მეტი ცალის რაოდენობით გავრცელდა.

გამოფენაზე ფართოდ არის წარმოდგენილი საფრონტო პრესა და პერიოდული გამოცემანი სსრ კავშირის ხალხთა ენებზე. სპეციალური განყოფილება მიძღვნილია ომის დღეებში საგამომცემლო საქმის განვითარებისადმი. (საკდესი).

თესვის გეგმების შესრულება

მაიაკოვსკის რაიონმა სიმინდის თესვის გეგმა 30 აპრილისათვის 101 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად 4.950 ჰექტარისა დათესილია 5.000 ჰექტარი.

თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი ქაპანაძე

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მანანია

ჩხოროწყუს რაიონმა სიმინდის თესვის გეგმა ვადაზე ადრე, 28 აპრილისათვის გადაჭარბებით შეასრულა—ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.350 ჰექტარისა დათესილია 4.360 ჰექტარი. თესვა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ჩხოროწყუს რაიკომის მდივანი ქაკულია

რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თოდუა

უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანებას გამარჯვებისაკენ მივყეველართ!

ჰიტლერული არმიის სრული განადგურებისათვის

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მუშა-მოსამსახურენი 3 მაისს შეიკრიბნენ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებას.

ბრძანება მიტინგს გააცნო სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიბიუროს მდივანმა ამხ. ჭახრაკიამ. დიდი მხედართმთავრისა და ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორის საპირველმაისო ბრძანება,—ამბობს იგი,—გვავალებს გაორკეცებული ენერგიით ვიმუშაოთ ფრონტისათვის, ვიბრძოლოთ მეცნიერების დაუფლებისათვის, ყოველმხრივ დავეხმაროთ ჩვენს სახელოვან წითელ არმიას ვერაგ მტერზე გამარჯვებაში.

მგზნებარე სიტყვებით გამოსულნი დოც. ვ. ბახტაძე, ფრაიდოსანი-სტუდენტი ვ. ახვლედიანი მთელი კოლექტივის სახელით სიტყვას აძლევენ მიტინგს, რომ დიდი მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ბრძანებამ ყველაზე ცოცხალ ენერგიულ ბრძოლისაკენ მოუწოდა ყველა ადამიანი. ეს ბრძანება ახალ სტიმულს გვაძლევს უფრო მეტი ენერგიით ვიმუშაოთ ფრონტისათვის და ჩვენ, საბჭოთა სტუდენტობა, მოვალე ვართ ჩვენი ცოდნა მოვახმაროთ სამშობლოს კეთილდღეობას, ჰიტლერული არმიის სრული განადგურების საქმეს,—განაცხადა სტუდენტმა ნ. ფანოზაშვილმა.

უნივერსიტეტის კოლექტივი, დიდი სტალინის საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებული, კიდევ უფრო გააძლიერებს მუშაობას სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

მწერალთა და ხელოვნების მუშაკთა შორის

4 მაისს შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების, მწერალთა კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მუშაკთა მიტინგი, მიძღვნილი უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ი. სტალინის საპირველმაისო ბრძანებისადმი. მიტინგი გაიხსნა ს. ეფლის შესავალი სიტყვით. უმაღლესი მთავარსარდლის საპირველმაისო ბრძანება წაიკითხა ი. აბაშიძემ.

პროფ. კ. კაპანელმა ილაპარაკა საერთაშორისო მდგომარეობის იმ ღრმა ანალიზზე, რომელიც ამხანაგ სტალინის ბრძანებაშია მოცემული. ბელადის ეს ისტორიული ბრძანება მოქმედების პროგრამაა როგორც ფრონტისათვის, ისე ზურგისათვის. ჩვენი ვალია ურყევად გავატაროთ იგი ცხოვრებაში,—სთქვა პროფ. კაპანელმა.

რ. ქორქიამ თავის სიტყვაში ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რით უნდა უპასუხონ საქართველოს საბჭოთა მწერლებმა უმაღლესი მთავარსარდლის დიდი სტალინის ბრძანებას.

შ. რადიანმა მოუწოდა მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს კიდევ უფრო მეტი მონდომებით იმუშაონ ფრონტის დასახმარებლად, რომ ყოველმხრივ შეეწყონ ხელი სახელოვან წითელ არმიას ფაშისტ დამპყრობთა სრულ განადგურებაში. მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა ფართოდ უნდა ასახონ საბჭოთა ხალხის, სახელოვანი წითელი არმიის მამაცობა და გმირობა.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგი მოუწოდებს მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს ფრონტისადმი კიდევ უფრო მეტი დახმარებით უპასუხონ უმაღლესი მთავარსარდლის დიდი სტალინის ისტორიულ საპირველმაისო ბრძანებას.

მაღაროელთა ვალდებულებანი

ტყიბული („კომუნისტის“ საკ. კორ.). უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებამ ახალი შრომითი აღფრთოვანება და ენტუზიაზმი გამოიწვია ტყიბულის მაღაროებში და შახტებში. 3 მაისს დასავლეთ შახტში ბელადის საპირველმაისო ბრძანების გასაცნობად ჩატარდა მიტინგები ცვლების მიხედვით. მეორე ცვლაში მომუშავეებს უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანება ჩვენ გამარჯვების გზას გვიჩვენებს, ენერგიისა და ძალ-ღონის ახალ მოზღვავებას ვგრძნობ. მოწყალ ბრძოლებში კიდევ უფრო ძლიერად ვურტყამ მტერს. მოგეზმდ მფრინავებს—მთელი ძალ-ღონე და მთელი უნარი იხმაროს, რათა პირნათლად შეასრულონ სტალინის ბრძანება“.

ბრძანება მიტინგს გააცნო სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიბიუროს მდივანმა ამხ. ჭახრაკიამ. დიდი მხედართმთავრისა და ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორის საპირველმაისო ბრძანება,—ამბობს იგი,—გვავალებს გაორკეცებული ენერგიით ვიმუშაოთ ფრონტისათვის, ვიბრძოლოთ მეცნიერების დაუფლებისათვის, ყოველმხრივ დავეხმაროთ ჩვენს სახელოვან წითელ არმიას ვერაგ მტერზე გამარჯვებაში.

მგზნებარე სიტყვებით გამოსულნი დოც. ვ. ბახტაძე, ფრაიდოსანი-სტუდენტი ვ. ახვლედიანი მთელი კოლექტივ

ბოლშევიკური პრესა სამამულო ომის დღეებში

6 პარტიზანულ რაზმში. (უკრაინა) სურათზე: პარტიზანები ურიგებენ ფურცლებს 6 დასახლებული პუნქტის მცხოვრებლებს.

ფოტო დავიდზონისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საფრონტო გაზეთები

საფრონტო პრესა განსაკუთრებით პასუხსაგებ ამოცანებს ასრულებს. იგი წითელარმიის და წითელი ფლოტის მეომრებს ზრდის საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით. საბჭოთა ხალხის სამამულო ომის კეთილშობილი და მაღალი მიზნები აღფრთოვანებენ ჩვენი სახელოვანი წითელარმიის მებრძოლებსა და მეთაურებს უმაგალითო გმირობისათვის. საფრონტო პრესა აშუქებს სამამულო ომის მონაწილეთა საგმირო საქმეებს, იგი წარმოადგენს საბრძოლო გამოცდილების გაზიარების ტრიბუნას. საფრონტო გაზეთები მჭიდროდ არიან დაკავშირებული მოქმედი წითელი არმიისა და ფლოტის ნაწილებთან, მათი კორესპონდენტები გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ ბრძოლების უშუალო მონაწილენი არიან.

საფრონტო გაზეთები განუწყვეტლივ იბრძვიან მებრძოლთა დისციპლინის განმტკიცებისათვის, ისინი მებრძოლებში ზრდიან მწვავე სიძულვილს საზიზღარი მტრისადმი.

საფრონტო გაზეთი „წინ, გამარჯვებისაკენ“ უამბობს მებრძოლებს საგმირო საქმეებზე, უამბობს ეპიზოდებს ჩვენი გმირული წარსულიდან, აჩვენებს ფაშისტთა მზეცობას, ეხმარება მებრძოლებსა და მეთაურებს სამხედრო ცოდნის ამაღლებაში სათანადო რჩევა-დარიგებით.

„ხიშტით ბრძოლის ოსტატი“—ასეთი სათაურით მოგვითხრობს გაზეთი მებრძოლ ღვინიაშვილის გმირობის შესახებ „...გაიმართა მძაფრი ხელჩართული ბრძოლა. რიცხოვნობრივი უპირატესობა მტრის მხარეზე იყო. წითელარმიელ ღვინიაშვილს თავს დაესხა 4 ჰიტლერელი. მებრძოლი არ შედრკა. ის მარჯვედ მოქმედებდა ხიშტითა და კონდახით. 3 ფაშისტი მკვდარი დაეცა მის წინ. მეოთხე მიუხტა ღვინიაშვილს და ცდილობდა ხიშტი ჩაეცა მისთვის. ჩვენმა მებრძოლმა აიცდინა მტრის ხიშტი და ძლიერი დარტყმით განგმირა მეოთხე ფაშისტი“.

ასეთი მაგალითები გაზეთს მრავალი აქვს მოყვანილი.

სამამულო ომის მგმირებთან ერთად გაზეთი აჩვენებს, თუ როგორ იბრძვის ზურგი მტერზე გამარჯვებისათვის, აჩვენებს ზურგში საუკეთესო მომუშავეებს, სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ტრანსპორტის სტახანოველებს—ქიონია სარსანიას, ბოჩო კვარაცხელიას, მ. ჯოხაძეს, ა. სხირტლაძეს და სხვ.

საფრონტო გაზეთმა **„სამშობლოს სადარაჯოზე“** დაბეჭდა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. გ. სტურუას წერილი: „როგორ და რით ეხმარება ქართველი ხალხი ფრონტს“. ეს წერილი განხილულ იქნა მებრძოლთა შორის და დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ქვეგანაყოფებში ბევრი აღმოჩნდა იმ ორგანიზაციების ყოფილი მუშაკი და იმ პირთა მახლობელი და ნათესავი, რომელთაც თავი გამოიჩინეს წითელი არმიისადმი დახმარების საქმეში. წერილი ახალი საბრძოლო წარმატებების სტიმული გახდა.

სერჟანტი გ. კეკუტია ამ წერილზე სწერს გამოხმაურებას გაზეთში: „მე მჯერა, რომ ზურგში დარჩენილი ადამიანების მთავარი საზრუნავია ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ჩვენს წითელ არმიას. ამხ. გ. სტურუას წერილში აღნიშნული კარაპეტ ნიკოლოზის-ძე ტატიაშვილი გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხიდან, რომელმაც სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებ ფონდში 120.000 მანეთი შეიტანა, ჩემი უახლოესი ნათესავია. მე უდიდესი სიხარულით განვიცადე, როცა გავიგე, **რომ მან** მნიშვნელოვანი თანხა შეიტანა წითელი არმიის სატანკო ძალების გასაძლიერებლად. წითელი არმიის შეიარაღებულ ძალებზე, მის შამაც მეომრებზე ჩვენი ოჯახების წყვრების ზრუნვა გვავალებს ჩვენ, მათ შვილებს, შეასრულოთ ჩვენზე დაკისრებული ამოცანა, გავანადგუროთ უსაზიზღრესი მტერი—გერმანიის ფაშიზმი“.

წითელარმიელი გ. ცაბაძე **სწერს:**

„ჩვენ ღრმად ვგრძნობთ იმ დახმარებას, რომელსაც ჩვენი მშობლიური ქართველი ხალხი უწევს გმირ წითელ არმიას. ეს დახმარება ენერგიას გვმატებს მტერთან ბრძოლაში ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად, —ასე განაცხადეს 6 ქვეგანაყოფის მებრძოლებმა, როდესაც მეთაურის მოადგილემ პოლიტდარგში ამხ. მ. ზარნაძემ წაუკითხა მათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. გ. სტურუას წერილი.

ამ წერილის საპასუხოდ, რომელიც წარმოადგენს იმის მოკლე ანგარიშს, თუ რას აკეთებს ქართველი ხალხი ფრონტის დასახმარებლად, მებრძოლებმა შ. ჭელიძემ, ა. რაზმაძემ, გ. ციხკარიშვილმა პირობა დასდეს იბრძოლონ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მტერზე საბოლოო გამარჯვებისათვის“.

წითელარმიული გაზეთი **„სამშობლოს დამცველი“**, სანამ მისი ქვეგანაყოფი ბრძოლის ველზე გამოსასვლელად ემზადებოდა, ყოველმხრივ ეხმარებოდა მებრძოლებს თავიანთი სამხედრო ცოდნის ამაღლებაში. გაზეთი ცდილობდა გაეღვივებინა მათში სამშობლოს წმიდა სიყვარული, მტრისადმი სიძულვილი, თავისი მოვალეობის სრული შეგნება. გაზეთმა ამას მიაღწია კიდეც. მებრძოლები მოწინავე ხაზზე გავიდნენ და მტერთან შეხვედრისას გამოიჩინეს გულადობა და სიმამაცე. გაზეთს მოჰყავს ჩვენი მებრძოლების სახელოვანი და შეუპოვარი ბრძოლის მრავალი მაგალითი. წერილებში „უმცროს ლეიტენანტ გერმისაშვილის ვაჟკაცობა“, „მტრის საცეცხლე წერტი ჩაახუმეს“, სადაც აღწერილია ნალმტყორცნელების გაბელიას, აბაშვილის და შარვაძის უნარიანი მოქმედება, „დანაღმული ველი გაიუვნებლეს“, „უმცროსი მეთაურის პირადი მაგალითი“ და სხვ. მოყვანილია პირადი შამაკობის შესანიშნავი ფაქტები.

— გაუფრთხილდით იარაღს, როგორც თვალსჩინს, გიყვარდეთ იგი. როგორც საკუთარი თავი!—მოუწოდებს მებრძოლებს ათეულის მეთაური გულიაშვილი. გულიაშვილი თვითონ უჩვენებს მათ ამის მაგალითს.

გაზეთი ხშირად „თავსებს საფრონტო იუმორს. მაგალითად, ერთ-ერთ იუმორისტულ სურათში ნაჩვენებია, თუ შეიარაღებული ფრაცები როგორ დასდევენ ბატებს. ამ სურათს აქვს წარწერა:

„ფრაცი თავის ვაჟკაცობით
თვით ჰიტლერსაც სახელს ჰმატებს...
როს სახლს ძარცვავს, ან ბავშვებს ჰკლავს,
ან „გმირულად“ ყლეტავს... ბატებს...“

„ვიმოქმედოთ ამხანაგ სტალინის ბრძანების მიხედვით“,—ასეთი ანშლაგით საფრონტო გაზეთი **„წინ, სამშობლოსათვის“**, უძღვნის გვერდს ამხანაგ სტალინის 1943 წლის 23 თებერვლის ბრძანებას. ამ გვერდზე მოთავსებულ წერილებში გაშუქებულია, თუ რა დიდი სიბეჯითით სწავლობენ მებრძოლები ამ ბრძანებას, რა მამაცობითა და გულადობით უპასუხებენ მას.

საფრონტო გაზეთები **„სამშობლოს მოწოდება“, „წინ, სამშობლოსათვის“, „სამშობლოს ღირსებისათვის“** და სხვანი რაზმავენ ჩვენი სამშობლოს სახელოვან დამცველებს მტრის გასანადგურებლად. წითელარმიელებში აგიტაცია და პროპაგანდა, მოწინავე მეომრების საბრძოლო გამოცდილების დანერგვა, ჩვენი სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული, მამაცი მებრძოლებისა და მეთაურების აღზრდა—ასეთია საფრონტო პრესის საპატიო ამოცანები, რომლებსაც იგი წარმატებით ასრულებს.

ნ. ილოდვილი

მუშაკორები და ძირეული პრესის მუშაკები. სურათზე: ზევით (მარცხნიდან მარჯვნივ) **ა. მახარაშვილი, ვ. მაისურაძე, ნ. კვანტარიშვილი, ვ. ყიფიანი** და **მ. აკოფოვი**; ქვევით **—მ. კარუჩკოვი, შ. ტაბუაშვილი, მ. ქოქოლაშვილი, ი. ნაზარბეგოვი** და **ე. სედოვა.**

რაიონული გაზეთი უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში

სამამულო ომის პერიოდში რაიონული გაზეთების წინაშე პასუხსაგები ამოცანები დგას. ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ენერგიულად იბრძვის ლაგოდეხის რაიონული გაზეთი „ბრძოლა თამბაქოსათვის“.

ლაგოდეხის რაიონის მშრომელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ და საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობის საქმეში. რაიონული გაზეთი აქტიურად გამოეხმაურა ამ პატრიოტულ თაოსნობას და საფუძვლიანად გააშუქა იგი. რედაქცია დროულად ეხმაურება პარტიისა და მთავრობის დადგენილებებს, აცნობს მათ რაიონის მშრომელებს. გაზეთმა ფართოდ გააცნო მკითხველებს 1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და იბრძვის მისი შესრულებისათვის.

რაიონული გაზეთი ფართოდ აშუქებს უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის რაიონის კოლმეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხებს. გაზეთის ყოველ ნომერში იბეჭდება მასალები რუბრიკით „სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეთა ტრიბუნა“ და „1943 წელს ზურგში თავდადებული შრომით მივიღოთ უხვი სამხედრო მოსავალი“. იქ სისტემატურად შუქდება სოფლის მეურნეობის წარჩინებულთა გამოცდილება. გაზეთში დაიბეჭდა მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების ა. ტოკლიკაშვილის, გ. ნატრაშვილის, კაპანაძის და სხვა სოფლიერთა წერილები სოციშეჯიბრებით აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის, მიღწევებისა და ნაკლოვანებათა ჩვენებით. უხვი მოსავლისათვის ბრძოლა გაზეთმა თავიდანვე გააჩაღა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თამბაქოს საათურების მომზადებას და მასში, თამბაქოს ნათესების მოვლა-პატრონობის საქმეს, ამეღავნებდა ამ საქმეში ნაკლოვანებებს, აგრეთვე ზეგადაგდა საკოსულტაციო ხასიათის წერილებს.

გაზეთი თავის ძირითად ამოცანად ისახავს ბრძოლას თამბაქოს მაღალი მოსავლისათვის. იგი ფართოდ აშუქებს საშემოდგომო ნათესების მოვლა-პატრონობის, საგაზაფხულო სამეშაოების მიმდინარეობის და მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

გაზეთს „ბრძოლა თამბაქოსათვის“ თავის მუშაობაში ჯერ კიდევ აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებები. მაგალითად, მის ფურცლებზე სათანადო ადგილი არ ეთმობა კრიტიკული ხასიათის წერილებს, რედაქცია კვალდაკვალ ვერ მისდევს გამოქვეყნებულ შენიშვნებს და სხვ. საჭიროა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა.

საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომი სისტემატურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევს რაიონულ გაზეთს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. მომავალში ჩვენ კიდევ უფრო გავაძლიერებთ ამ ხელმძღვანელობა-დახმარებას.

ხაქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი შ. ნუცუბიძე

1 მაისი საზღვარგარეთ

ა. შ. შტატები

ნიუ-იორკი, 3 მაისი (საკდესი). ნიუ-იორკში „იანკი-სტადიუმის“ სტადიონზე შეხვდა საპირველმაისო მიტინგი, რომელსაც 50.000-ზე მეტი კაცი დაესწრო. მიტინგზე სიტყვებით გამოსული ორატორები მოუწოდებდნენ საერთაშორისო მუშათა ერთიანობის განმტკიცებისაკენ, მოკავშირე ქვეყნების დარაზმვისა და რუზველტის სამხედრო ღონისძიებათა მხარდაჭერისაკენ.

დემოკრატი სენატორი პეპერი (ფლორიდის შტატი) თავის სიტყვაში მიესალმა ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებას. მან განაცხადა, რომ სტალინი, რომელიც არის „ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ხალხის ერთ-ერთი უდიდესი ბელადი ისტორიაში, მოგვიწოდებს ღერძის სახელმწიფოთა ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანობის შექმნისაკენ“. „საბჭოთა კავშირის ერთიანობა სხვა გაერთიანებულ ერებთან,—სთქვა პეპერმა, — ჰიტლერის განადგურების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის ხალხს ისეთი გენიალური ბელადი რომ არა ჰყოლოდა, როგორიც სტალინი არის, ამ ხალხს საკმაო მამაცობა რომ არა ჰქონოდა, ჰიტლერთა ჰიტლერი შეეჩერებინა და ჰიტლერელები ჭაობებში, ბაკურა სისხლის ღვარში ჩაეხრჩო, მაშინ თავისუფლება გაჰკრებოდა მთელს მსოფლიოსა და ჩვენს ქვეყანაში. იმის მსგავსად, როგორც ამერიკელებს ახსოვთ, რომ მათ დიდი ვალი აწევთ საფრანგეთის წინაშე მისი დახმარების გამო ჩვენი დამოუკიდებლობისათვის. ომში 1776 წელს, სწორედ ასევე ამერიკელთა მომავალ თაობას ეხსომება ჩვენი გადაუხდელი ვალი რუსების წინაშე ჰიტლერის წინააღმდეგ მათი ბრძოლისათვის“. პეპერი მოუწოდებდა ა. შ. შტატების შიგნით ერთიანობის განმტკიცებისაკენ და დაჰგმო მაღაროელთა პროფკავშირის ხელმძღვანელ ლიუისის საქციელი იმისათვის, რომ იგი ზღანს აყენებს ა. შ. შტატების საომარ ღონისძიებებს.

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე: მეზღვაურთა პროფკავშირის ხელმძღვანელმა კერენმა, ტრანსპორტის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარემ კვილმა და ა. შ. შტატების მთელმა რიგმა სხვა საზოგადო და პროფკავშირულმა მოღვაწეებმა.

ინგლისი

ლონდონი, 2 მაისი (საკდესი). გუშინ ლონდონში შესდგა დიდი საპირველმაისო მიტინგი. სიტყვები წარმოსთქვეს: პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა პრიტმა, ბელგიის დეპუტატთა პალატის ყოფილმა წევრმა იზაბელა ბლიუმმა, ინგლისის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პარი პოლიტმა და სხვებმა. ორატორები მოუწოდებდნენ მუშათა კლასის ერთიანობასა და გაერთიანებული ერების საბრძოლო თანამეგობრობის განმტკიცებისაკენ.

ლონდონი, 3 მაისი (საკდესი). 2 მაისს ტრაფალგარ-სკვერში ლონდონში შესდგა ლეიბორისტული პარტიის მიტინგი, მიძღვნილი 1 მაისის დღესასწაულისადმი. მიტინგის მონაწილენი ტაშისცემით შეხვდნენ პარლამენტის წევრის ლეიბორისტ სტრაუსის განცხადებას, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა და ინგლისელ ხალხს მოუწოდებდა საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და სოლიდარობის განმტკიცებისაკენ.

ლონდონი, 2 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 2 მაისს სამხრეთ უელსის ქვანახშირის რაიონებში შესდგა ხალხმრავალი საპირველმაისო მიტინგები, რომლებზეც სიტყვა წარმოსთქვეს მაღაროელების წარმომადგენლებმა პარლამენტში და ტორედ-უნიონების ხელმძღვანელებმა. მიტინგების მონაწილეებმა იკისრეს ქვანახშირის მოპოვების გადიდება. საერთო რეზოლუციაში მიტინგების მონაწილენი ჯეროვანი პატივისცემით იხსენიებენ „ჩვენი საბჭოთა მოკავშირეების საუცხოო სიმტკიცეს და სახელოვან ბრძოლებს“ და აღნიშნავენ, რომ „მილიონობით ადამიანები ოკუპირებულ ქვეყნებში ელოდებიან განმთავისუფლებელი არმიების მოსვლას“.

* * *

1 მაისის დღე აღინიშნა აგრეთვე ალეირში, ჩუნცინში, სიდნეიში, კუნძულ კუბაზე და ბოლივიაში, სადაც შესდგა მრავალათასიანი მასობრივი დემონსტრაციები. მიტინგებზე სიტყვით გამოსული ყველა ორატორი მოუწოდებდა მოკავშირეთა საბრძოლო ერთიანობის განმტკიცებისაკენ.

საომარი მოქმედება ჩუნინში

ლონდონი, 4 მაისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, მატერის დაკავებისას ამერიკელებმა ტყვედ წაიყვანეს ასობით ვერმანელი. ჭტერი ახლა უკან იხევს ამერიკელთა ჯარების მთელი სამხრეთი ფლანგის გასწვრივ. მატერის სამხრეთით წინწაწევით მოკავშირეები გადიან გერმანელთა ზოგიერთი ამ პოზიციის ზურგში მდინარე მეჯერდის დასავლეთ ნაპირზე, რომლებიც გზას ეღობავენ ტებურბისაკენ ინგლისის პირველი არმიის წინსვლას.

ალეირის რადიოს ცნობით, მტერი უკან იხევს ალმასავლეთისაკენ. მტრის კოლონებს მასირებულად ესხმის თავს ავიაცია.

როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ღერძის სახელმწიფოთა ჯარები, რომლებიც ტუნისის ხიდწინა სიმაგრეს იცავენ, ფაქტიურად ურთიერთისაგან გათიშული არიან. ბიზერტის სექტორში მყოფი გერმანელთა ჯარები თითქმის იზოლირებული არიან.

ამერიკელთა ჯარების სხვა რაზმმა ჰატერის დასავლეთით წაიწია წინ და შეუერთდა ქვეითი ჯარის ნაწილებს, რომლებიც გერმანელთა ჯერ კიდევ გამოურკვეველ რაოდენობას გარს ერტყმიან. ამერიკელთა არტილერია სროლას ეწეოდა გუშინ დაკავებული ახალი პოზიციებიდან და გერმანელთა რამდენიმე აეროდრომი დაანგრია.

ალჟირი, 4 მაისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ტყვეები ამბობენ, რომ ფრონტის მოწინავე ხაზზე ძალიან ცოტა ოფიცერი და უნტერ-ოფიცერია. იმასთან დაკავშირებით, რომ ოფიცერთა შემადგენლობა ზურგში გადაჰყავთ საევაკუაციოდ, ჯარისკაცთა შორის იზრდება უკმაყოფილება.

ამერიკელთა ნაწილებმა ბრძოლაში საუცხო ტექნიკური მომზადება გამოიჩინეს. ისინი ჭარბად არიან აღჭურვილი ტექნიკით. ამერიკელთა ჯარების საბრძოლო სულისკვეთება მაღალია, ისინი მტკიცედ იცავენ დისციპლინას. რიგითი და ოფიცერთა შემადგენლობა უდიდეს ინტერესს იჩენს სსრ კავშირისადმი და სწავლობს წითელი არმიის საბრძოლო გამოცდილებას.

ჭიკოს და დე გოლის მომავალი შეხვედრა

ლონდონი, 4 მაისი (საკდესი). როგორც ჩრდილოეთ აფრიკის ოკუპაციურ ძალთა გადმოგვცემს, გენერალმა ეიზენჰაუერმ მიმართა გენერალ დე გოლს ჩრდილოეთ აფრიკაში შეეხვედროთ ერთმანეთს 5 მაისის შემდეგ, რაც შეიძლება ადრე.

ბენეში ა. შ. შტატებში გაემგზავრა

ვაშინგტონი, 4 მაისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 12 მაისს ვაშინგტონში ელოდებიან ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ ბენეშის მისვლას. ბენეში რუზველტს ინახულებს.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 4 მაისი (საკდესი). ავიაციის სამინისტროს ცნობით, ინგლისის ავიაცია გუშინ მთელ რიგ ობიექტებს ბომბავდა ჰოლანდიაში. აღნიშნულია აფეთქებანი. მტრის გამანადგურებელმა ავიაციამ საკმაოდ ინტენსიური ბომბდაყრა ჩაატარა ტიერნეზენის ადგილსამყოფელზე. ინგლისელ მებომბავლებს ეს ადგილსამყოფელი ბევრჯერ ბომბავდნენ. ბომბდამშენები ამავე დღეს თავს დაესხნენ ტიერნეზელის რკინიგზის სახელოსნოებს ლოტარინგიაში. მრავალ ადგილას აღნიშნულია ხანძარი და აფეთქება.

კონფლიქტი ამერიკის შეერთებული შტატების ქვანახშირის მრეწველობაში

ნიუ-იორკი, 3 მაისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ქვანახშირის მრეწველობაში მუშაობა და მეწარმეთა შორის წარმოიშვა კონფლიქტი იმის გამო, რომ მაღაროელთა გაერთიანებულმა პროფკავშირმა მოთხოვნა წარუდგინა მეწარმეთ გაეთვალისწინებინათ ახალ შეთანხმებაში ხელფასის გაღიდება იმასთან დაკავშირებით, რომ იზრდება ფასები მთავრობის მიერ დადგენილ ფასებთან შედარებით, და შემოღება 6-დღიანი სამუშაო კვირისა 5-დღიანის ნაცვლად, რასაც დაეკინებით მოითხოვენ მეწარმენი.

მაღაროელთა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარემ ლიუისმა ოფარაყო მთავრობის წინადადება შუამავლობის შესახებ და არ მოისურვა დაწყო მოლაპარაკება. 30 აპრილისათვის, როცა ვადა გაუვიდა მეწარმეებთან მაღაროელთა ძველ შეთანხმებას, მუშაობა შესწყვიტა დაახლოებით 250.000 მუშამ. გაფიცვა თითქმის ყველა შახტს მოედო.

29 აპრილს რუზველტმა მიმართა ლიუისს წერილით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ახლანდელი პირობებში გაფიცვა მიმართულია იმდენად არა მეწარმეთა წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ მიაღწიონ ახალი შეთანხმების დადებას, რამდენადაც ამერიკის მთავრობის წინააღმდეგ, ვინაიდან გაფიცვა პირდაპირს დაბრკოლებას უქმნის ომის წარმოებას.

რუზველტისადმი თავის პასუხში ლიუისმა ხელახლა დაადასტურა, რომ იგი არ დაუშვებს კონფლიქტში მთავრობის ორგანოების ჩარევას.

ამერიკის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ფოსტერმა მკვეთრად დაჰგმო ლიუისის პოზიცია და განაცხადა, რომ ამ უკანასკნელს ამერიკელი ხალხის სამხედრო ღონისძიებათა საკითხში დამარცხების მომზრე პოზიცია უკავია. ფოსტერმა განაცხადა, რომ ლიუისს რეაქციული პოლიტიკური მიზნები აქვს. მაღაროელთა გაფიცვა, ფოსტერის სიტყვით, ეწინააღმდეგება ამერიკის შეერთებული შტატების და მოკავშირე ერთა ინტერესებს. მაღაროელთა მოთხოვნები ხელფასის გადიდების შესახებ,—სთქვა ფოსტერმა,—საკმაოდ სამართლიანია, მაგრამ მეწარმენი პროვოკაციულად აქეზებენ მუშებს გაფიცვაზე. მუშებმა უნდა იპოვონ გამოსავალი შექმნილი კრიზისიდან ისე, რომ არ მიმართონ გაფიცვას, რომელიც შეიძლება ხელსაყრელი იყოს მხოლოდ ჰიტლერისა და ამერიკის პროფაშისტური წრეებისათვის. ფოსტერმა წინადადება შეიტანა, რომ მთავრობამ ხელი მოჰკიდოს ქვანახშირის შახტების ექსპლოატაციას ომიანობის დროისათვის და დააწესოს მაღაროელთათვის დამაკმაყოფილებელი და გარანტირებული წლიური ხელფასი.

ნიუ-იორკი, 3 მაისი (საკდესი). 1 მაისს რუზველტმა სათბობის საკითხთა რწმუნებულს, შინაგან საქმეთა მინისტრ იკესს ბრძანება მისცა თავის კონტროლქვეშ აიყვანოს ქვანახშირის ყველა შახტი და განაგოს ისინი ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახელით.

* * *

ნიუ-იორკი. 3 მაისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების მაღაროელთა გაერთიანებულმა პროფკავშირმა მთავრობასთან დასადო შეთანხმება იმის შესახებ, რომ 4 მაისიდან შახტებში მუშაობა განახლდეს 2 კვირის ვადით. ამ ორი კვირის განმავლობაში იწარმოებს მოლაპარაკება ახალი შეთანხმების დადების შესახებ.

ნიკო ფიროსმანიშვილი

(ბარდაცვალებიდან 25 წლისთავის გამო)

ნიკო ფიროსმანიშვილმა ახალ ქართულ რეალისტურ მხატვრობას საღსარი ჩაუდგა, ბისაგ მას სიმართლის თქმის ცოცხალმყოფელი ენა და უშუალობის განცდა მომა სიბრძნელობა.

ნიკო ფიროსმანიშვილი დაიბადა 1863 წ. სოფ. მირზაანში (ქიზიყში). იგი აღიზარდა ქართული ხალხური მხატვრობის ტრადიციებზე. თავისი მალალინიერების ძალით ნიკო ფიროსმანიშვილი გასცდა ქალაქური ხელოვნების შეზღუდულ რკალს და ახალი ქართული მხატვრობის სიამაყედ და მშვენებად იქცა. თითქმის ოცდახუთი წლის მანძილზე ის გასაოცარ შეუპოვრობას იჩენს, ებრძვის ბედშამბას, ცხოვრების სიდუხჭირეს და ლუკმა პურის ძებნაშიც კი თავდადებით ემსახურება ფუნჯსა და ყალმის ხელოვნებას.

6. ფიროსმანიშვილი უაღრესად ხალხური მხატვარი იყო. მისი პალიტრა სოფლის ადამიანებსა და პეიზაჟებსაც ისეთივე სიცხოველით წარმოგვისახავდა, როგორც ჩვენი დედაქალაქის მცხოვრებლებსა და მიდამოებს. ფიროსმანიშვილის შემოქმედება გამსჭვალულია სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულით. ის გატაცებით ხატავდა თავისი მშობლიური ქვეყნის არე-მარეს, თავისი ფუნჯის მეტყველი ძალით უმღერიოდა ალაზნის ველისა და შავი ზღვის სანაპიროების სილამაზეს. გულთბილად, მშობლიური გრძნობით ხატავდა თავისი დროის ადამიანს,—თავის თანამემამულეს თუ მოძმე ხალხის მალალან მეგობრებს. მისი სიყვარული თავისი ქვეყნის უსულო ბუნებასაც სწვდებოდა და პირველმა მან აღიდგინა ნატიურმორტს თავისებური ქართული კილო და იერი. ფიროსმანიშვილს არც ისტორიული სახეების შთამაგონებელი ძალა დავიწყებია. მას ეკუთვნის სურათები: „გიორგი საკაძე მტრებისაგან იხსნის საქართველოს“, „შამილი და მისი მცველი“; პორტრეტები: „შოთა რუსთაველი“, „თამარ მეფე“ და „გიორგი საკაძე“.

ხალხის ცხოვრების სიმართლით ამსჭველ ფიროსმანიშვილს მიბაძვით წერა არ ეხერხებოდა. მხატვარს თავისი საკუთარი ხმა გაჩნდა, საკუთარი ხედვა ჰქონდა და სიმართლის მიმწვდომი თვალით აკვირდებოდა გარემოსა და ადამიანებს. ამიტომაც დიდი და ღრმა აზრია ჩაქსოვილი მის ღიმშესანიშნავ ნაწარმოებში „უშვილო მილიონერი და ბავშვებიანი საწყალი ქალი“.

მხატვრობაში ნიკო ფიროსმანიშვილმა განზოგადების დიდი ძალა გამოიჩინა და თავისი თანადროულობიდან ტიპიური სახეების მთელი გალერია შეიქმნა (შებადური, მოქალაქენი, გლეხები, თავადები და განუმეორებელი წარმოსახვით დაწერილი „მეეზოვე“).

5. ფიროსმანიშვილის ტილოები გამოირჩევიან ლაკონიურობით. მათი ფერითი მეტყველება რამდენიმე ფერადის ხმარებით საოცარ ძალას აღწევს, სიმართლით და დამაჯერებლად ხმიანობს. განცვიფრებთ ფიროსმანიშვილის ფერითი მეტყველების მშვიდი, ეპიური კილო. ვის სურათიანი ფერი ითოფინი მოელვარე ტონს ან დაძაბულ და მკვეთრ მოძრაობას, ამასთანავე ფიროსმანიშვილის სურათები მონუმენტალურია. ფართოდ გაშლილი ხაზის მოსმით ის ადვილად აღწევს წარმოსახული ობიექტის განდიდებას. ფიროსმანიშვილის ფერითი მეტყველების ლაკონიურობა, თხრობითი ეპიკური კილო და მონუმენტალობა ძველი ქართული კედლის მხატვრობისა უნდა იყოს შთაგონებული.

ნიკო ფიროსმანიშვილმა შეიმუშავა გრუნტისა და ფერადების დამზადების საკუთარი ტექნიკა. მას პალიტრის ეოხმარების საკუთარი ხერხი გააჩნდა, საოცარი ეფექტით იყენებდა შავ მუშაობას და შავ ფერს უზეთულად ახმიანებდა.

6. ფიროსმანიშვილის უშუალობა, ხალხურობა და ჰუმანიურობა ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. ფიროსმანიშვილმა თავისი შემოქმედებით შორს გაუთქვა სახელი ქართულ ხალხურ შემოქმედებას.

დ. ჯანელიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში

5 და 6 მაისს შესდგება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია. მოსმენილი იქნება შემდეგი მოხსენებები:

5 მაისის სხდომაზე: აკად. **ნ. მუსხელიშვილი**—„ახალი შედეგები სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში (მიმოხილვითი მოხსენება); **დ. კვესელავა** — სინგულარული ინტეგრალური განტოლებები წყვეტილი კოეფიციენტებით.

6 მაისის სხდომაზე: **ი. ვეკუა**—ეკვივალენტობის ამოცანა სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში; **ნ. ვეკუა**—სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემის შესახებ; **ბ. ხვედელიძე**—რიმანის ერთი წრფეში სასაზღვრო ამოცანის შესახებ ანალიზურ ფუნქციათა სისტემისათვის.

სხდომები შესდგება მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში დილის 11 საათზე.

თეატრებში

სახელოვანი—5 მაისს—„ჩიო-ჩიო-სან“, 6 მაისს—„დონ-კიხოტი“, **რუსთაველის სახელობის** — 5 მაისს—„სამშობლო“, 6 მაისს—„ლალატი“, **მარჯანიშვილის სახელობის**—5 მაისს—„ეჭვით ავადმყოფი“, 6 მაისს—„რაც გინდა ხაფ, ვეღარ ნახავ“, **მუსიკალური კომედიის**—5 მაისს—„არშინ-მალ-ალან“, 6 მაისს—„ხუჯარათი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

გაზეთი მიწურში

სოფლის სახლს, სადაც წითელარმიული გაზეთის რედაქცია მოთავსებულა, აბრა არა აქვს, მაგრამ წითელარმიელების მიერ ბრძოლასა და ბრძოლას შუა ნაჩქარევად, გაკრული ხელით დაწერილი წერილები ამ სახლს პოულობენ. აქედან ყოველდღე იგზავნება მოწინავე ხაზზე გულმოდგინედ შეკრული ახალი, საღებავის სუნით გაჟღენთილი დასტა გაზეთები. ფრონტი მოძრაობს, რედაქციაც წინ მიიწევს. დღეს მისი ბინაა სოფლური ქოხი, ხვალ—მიწური. ზეგ სარედაქციო მანქანა სალაშქრო კარვის ტილოს ქვეშ აკაკანდები.

სარედაქციო მეურნეობა საკმაოდ რთულია. გაზეთი უნდა აიწყოს, შეიკრას და დაიბეჭდოს. მთელი ეს პროცესები შეგუებული უნდა იყოს ფრონტის ცხოვრებასთან.

თითქოს უცნაური წარმოსადგენია, რომ საბეჭდ მანქანას, რომელსაც ჩვეულებრივ ცემენტის საძირკველზე სდგამენ, ერთი ადგილიდან მეორეზე შეეძლოს ხტომა. მაგრამ ფრონტი მოითხოვს, და ყველაფერია გაკეთებული ამისათვის, რომ არავითარმა სიძნელემ არ დაბ